ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №878667

ნომერი: AR1155872

თარიღი : 19.08.2013

გაცემის თარიღი : 05.09.2013

გაცნობის თარიღი : 05.09.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხვამლი , N 8 (ნაკვეთის N 1/8);

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე გოგიჩაიშვილი პ/ნ 01008026100
- ჭავჭავაძის #75

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დიმიტრი შაფაქიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "არქიტექტურის ლაბორატორია #3"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204503661

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და

სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ხვამლის ქ. N8–ში მრავალფუნქციური კომპლექსის ესკიზის წინასწარ შეთანხმებას.

განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განიხილა გაერთიანებულმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N34, 27.08.13 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, ხვამლის ქ. N8–ში მრავალფუნქციური კომპლექსის ესკიზს იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ობიექტი აკმაყოფილებს სამშენებლო მიწის ნაკვეთზე შენობის მაქსიმალურად დასაშვებ სიმაღლეს და ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრულ ყველა ნორმას (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/1254 2008 წლის 8 ივლისი, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება N8-13).

ზემოაღნიშნულიდანა გამომდინარე, მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27.03.09 წლის N221 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები (განაშენიანების რეგულირების ხაზი) და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის N1-1/1254 ბრძანებითა და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება N8-13–ით დადგენილი ნორმები.

• სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.